ცნობის ფურცელი

სურათებიანი დამატება

დამატების № 325. ხუთშაბათი, 16 ივნისი 1905 წ. გაზეთის № 2845.

# მარსელიეზა

მოთხრობა ლეონიდ ანდრეევისა

ეს იყო არარაობა: კურდღლის სული და საქონლის ურცხვი მოთმინება. როდესაც იგი ბედის მეოხებით, თითქოს დასაცინად და ჯავრის ამოსაყრელად, ჩვენ შორის მოჰყვა, ჩვენ გიჟურ სიცილს საზღვარი აღარა ჰქონდა: ხომ არის ხოლმე ასეთი სასაცილო, სულელური დაცინვა! ის კი, ის, რასაკვირველია, სტიროდა. მე ჩემს დღეში არ მინახავს ადამიანი, რომელსაც იმდენი ცრემლები სდენოდეს თვალებიდან, ცხვირიდან, პირიდან, რამდენიც სდიოდა მას. როგორც წყლით გაჟღენთილ ღრუბელს ხელის მოჭერის დროს წურწურით გასდის ხოლმე წყალი, ისე ჩამოსდიოდა მას ღაპა-ღუპით ცრემლები. ჩვენ შორის იყვნენ მოტირალნი მამაკაცები, მაგრამ მათი ცრემლები ემსგავსებოდა ცეცხლს, რომელსაც თვით ნადირებიც კი გაურბოდნენ. ამ მამაცურ ცრემლებისაგან სახე ბერდებოდა და თვალებს ახალგაზრდობის იერი ედებოდა.

ამას კი ტირილის დროს, მარტოდენ უწითლდებოდა ცხვირის წვერი და უსველდებოდა ხელსახოცი. ალბად ხელსახოცებს მერე აშრობდა თოკზედ, თორემ სად ექნებოდა ამდენი?

იმ ხნის განმავლობაში, რაც იგი განდევნილი იყო, ყოველ დღე უფროსებთან დადიოდა. მიდიოდა ყველა უფროსთან, რომელიც კი მოიპოვებოდა და რომლის გაცნობაც კი შეეძლო. მოწიწებით სალამს აძლევდა ამათ, სტიროდა, ეფიცებოდა თავის უდანაშაულობას, ევედრებოდა, შეიბრალეთ ჩემი ახალგაზრდობაო, ეფიცებოდა და აძლევდა პირობას, ხმას აღარ ამოვიღებ, კრინტს აღარ დავძრავ, გარდა თხოვნის და ლოცვა-დედებისაო. ისინი დასცინოდნენ ისევე, როგორც ჩვენ, და „პატარა, უბედურ ღორს“ ეძახდნენ. თან უყვიროდნენ:

— ეი, შენ, პატარა ღორო!

ისიც საჩქაროდ მირბოდა ძახილზედ: იგი მოელოდა ყოველ წამს, გაეგო სანეტარო ამბავი სამშობლოში დაბრუნებისა, ისინი კი მხოლოდ ხუმრობდნენ.

იმათ მშვენივრად იცოდნენ იმისი უდანაშაულობა, ისევე, როგორც ჩვენ ვიცოდით, მაგრამ იმის ტანჯვით უნდოდათ შეეშინებინათ სხვა პატარა ღორები — ასე ჰგონია, უამისოდ კი საკმაოდ მშიშრები არ იყვნენ!

მოდიოდა ჩვენთანაც, დევნილი ნადირულის შიშით; მაგრამ ჩვენი სახე მუდამ შეჭმუხვნილი და გაუღიმავი იყო, ის კი ამაოდ სცდილობდა სიხარულის ამოკითხვას ჩვენს სახეებზედ. გაშტერებული, კეთილ კაცებს და ერთგულ ამხანაგებს გვეძახდა, ჩვენ კი ვუქნევდით თავს და ვეუბნებოდით:

— უფრთხილდი! გაგიგონებენ!

ის კი, ის პატარა ღორი, გადაჰხედავდა ხოლმე კარებს. განა გაძლებდი, ამის დანახვაზედ, რომ არ გაგეცინა? ჩვენც ვიცინოდით დავიწყებულნი, გადაჩვეულნი. იგი გამხნევებული და ნუგეშ ცემული ჯდებოდა ჩვენს ახლოს და გვიამბობდა თავის საყვარელ პატარა წიგნებზე, რომელნიც სტოლზედ დაეტოვებინა, სტიროდა დედისა და ძმების მოგონებაზე, რომელთაგანაც არავითარი ამბავი არ მიუღია, არ იცის ცოცხლები არიან, თუ უკვე დაიხოცნენ.

ბოლოს გავაგდეთ.

როდესაც შიმშილობა დაიწყო, იგი გამოუთქმელმა შიშმა აიტაცა. იმას, იმ პატარა ღორს, ძალზე უყვარდა ჭამა და ეშინოდა ამხანაგებისა და უფრო-კი უფროსებისა: გადარეულსავით დადიოდა იგი ჩვენს შორის და იწმენდდა შუბლს ხელსახოცით, რომელზედაც გადმოსდიოდა ოფლი თუ ცრემლები. როგორღაც მოკრძალვითა მკითხა:

— თქვენ დიდხანს განაგრძობთ შიმშილობას?



კოცნა. — ქანდაკება როდენისა.

— დიდხანს, მკაცრად ვუპასუხე მე.

— მაინც ჩუმ-ჩუმად არაფერსა სჭამთ?

— დედა გამომიგზავნის ხაჭაპურებს! — დინჯად ვუპასუხე მე. მან ნდომით შემომაშტერა თვალები, გააქნია თავი,

ამოიკვნესა და წავიდა. მეორე დღეს კი, მთლად გამწვანებულმა, ვით თუთიყუში, გვაუწყა:

— ძვირფასო ამხანაგებო! მეც მინდა თქვენთან ერთად შიმშილი.

ერთხმად ვუპასუხეთ:

— იმშიე მარტოკამ.

მან იწყო შიმშილობა. არა გვჯეროდა ჩვენ ისევე, როგორც არა გჯერათ თქვენ. გვეგონა, იგი ჩუმად, მალულად სჭამს რაღაცას; ასევე ეგონათ ზედამხედველებს. როდესაც შიმშილობის დასასრულს იგი სახადით გახდა ავად, ჩვენ მარტო მხრების აწევა-ლა მოვახერხეთ: საწყალი, პატარა ლორი! მაგრამ ერთმა ჩვენგანმა, იმან, რომელიც არასდროს არ იცინოდა, დაღვრემით სთქვა:

— ჩვენი ამხანაგია ის. წავიდეთ იმასთან.

ჰბოდავდა, შესაბრალისი იყო, ვინაიდან მთელი თავისი სიცოცხლე ბოდვაში ჰქონდა გატარებული. თავის საყვარელ წიგნებზედ და ძმა-დედაზედ ლაპარაკობდა. მან მოითხოვა ხაჭაპური—ყინულივით ცივი ხაჭაპურები და იწყო ფიცი, რომ სრულიად უდანაშაულო ვარო. ითხოვდა აგრეთვე პატიებას. სულ სამშობლოს ხსენებაში იყო, სულ საფრანგეთი აგონდებოდა—ოო, დაწყევლილიმც იყოს სუსტი გული ადამიანისა! რა გულშესაზარავად გაიძახოდა იგი: საყვარელო საფრანგეთოო!

ჩვენ ყველანი საავადმყოფოში ვიყავით, როდესაც იგი კვდებოდა. სიკვდილის წინ გონიერება დაუბრუნდა. ჩუმად, წყნარად იწვა იგი. მეტად პატარა და სუსტი იყო. წყნარად ვიდექით ჩვენც, მისი ამხანაგები. ყოველმა ჩვენგანმა გაიგონა ის, რაც იმანა სთქვა:

-- როდესაც მოვკვდები, დამმღერეთ „მარსელიეზა“.

ეს ერთად-ერთი შემთხვევა იყო, რომ თვალები მშრალი ჰქონდა, ჩვენ კი ვტიროდით, ვტიროდით ყველანი. ჩვენი ცრემლები ენთებოდა ცეცხლისებრ, რომელსაც თვით ნადირებიც კი გაურბიან.

იგი მოკვდა, ჩვენ-კი დავმღეროდით „მარსელიეზას“. ნორჩის ძლიერის ხმებით ვმღეროდით თავისუფლების დიად სიმღერას. ბანს გვაძლევდა ოკეანე, რომელიც თავის ბუმბერაზ ტალღებით მიაქანებდა საყვარელ საფრანგეთში ამ გაფითრებულ შიშს და სისხლსავით წითელს იმედს. სამუდამო დროშად გარდაგვექმნა ეს არარაობა კურდღლის სხეულისა და მშრომელ საქონლისა, მაგრამ დიადი სულის პატრონი. დაემხეთ მუხლებზედ გმირის წინაშე, ამხანაგებო და მეგობრებო!

ჩვენ ვმღეროდით. თოფები შემოგვცქეროდნენ, ბოროტად ჩხაკუნობდნენ მათი ჩახმახები და ბასრი ხიშტები ისრებივით ესობოდნენ ჩვენს გულს,—და სულ ხმა მაღლა, მხიარულად გრგვინავდა ეს მრისხანე სიმღერა. მებრძოლთა ნაზ ხელში ოდნავ ირხეოდა შავი კუბო.

ჩვენ ვმღეროდით „მარსელიეზას!..“

**ი. ხირსელი.**

# კონკურსი

**ვ. დორეშევიჩისა.**

სპეციალური უმაღლესი სასწავლებელი. საბჭო, მაგიდაზედ ალაგია ქაღალდები, რომლებზედაც ჩამოწერილია კონკურსზედ მიღებულების გვარები და ნიშნები.

**დირექტორი**. აბა დავიწყოთ. რამდენია მსურველი?

**მდივანი**. ხუთასი.

**დირექტორი.** ოჰ-ოჰ-ოჰ! ადგილი რამდენიღაა?



**მოაზრე.**— ქანდაკება როდენისა.

**მდივანი.** ორმოცდა ათი.

**დირექტორი.** ოჰ-ოჰ-ოჰ! რასაკვრელია, მარტო იმათზედ შეგვიძლიან ლაპარაკი ვიქონიოთ, ვისაც ყველა საგნებში ხუთები ჰყავთ.

**მდივანი.** ყველა საგნებში ხუთები ოთხას კაცს მიუღია.

**დირექტორი.** ოთხასს კაცს! საკვირველია ეხლანდელი ახალგაზდობა, ღმერთს გეფიცებით! ასეთი ამბავი გაგონილა? იციან, რომ ადგილი არა გვაქვს, მაგრამ მაინც, რაც ძალი და ღონე აქვთ, მოიწევენ! ღმერთო ჩემო, თუ კი ადგილი არა გვაქვს, სად უნდა დავტივოთ ამოდენა ხალხი!

**მეორე პროფესორი.** მაინც რა უნდა ვქნათ?

**დირექტორი.** უპირველეს ყოვლისა წავშალოთ ისინი, ვისაც ერთი ხუთი ჰყავს გამოკლებით; რამდენია მაგისთანა?

**მდივანი.** ორმოცდა ათია!

**დირექტორი.** ეგეც კარგი ღვთის წყალობაა! ავიღოთ ეხლა და ორასიოდე კაცს ჩვენ თითონ დავუსვათ გამოკლებები. იფ, იფ, რამდენი ადგილია უჯრედებში თავისუფალი!

**მეორე პროფესორი.** ეგ ყოვლად შეუძლებელია!

**დირექტორი.** მე თითონაც ვიცი, რომ შეუძლებელია! (თავზედ ხელს ივლებს) მაგრამ ერთი მიბძანეთ, რა ვქნათ? ბატონებო, ცოტაკინათ ფსიხილოგიაც უნდა მოვიხმარიოთ. გამოითვალეთ მარტო ისინი, ვისაც ხუთები წერტილებით მიუღიათ. წერტილს დიდი მნიშვნელობა აქვს. წერტილი იმას ნიშნავს, რომ პროფესორს პასუხი მეტის მეტად მოსწონებია, ხუთი დაუწერია და წერტილიც გვერდში ამოუსვამს, იმის აღსანიშნავად, რომ პასუხის ღირება ყოველ ექვს გარეშეაო, ხუთი და წერტილი. კეთილი დღ პატიოსანი. გამოარჩიეთ მსხვილ წერტილიანი ხუთები.

**მდივანი.** წერტილიანი 250 კაცი დარჩა. აი, აქ ხუთიანთან რაღაც უცნაური წერტილი ზის, ვერ გამირჩევია, პროფესორის დასმულია, თუ ბუზისა...

**დირექტორი.** ჩასთვალეთ ბუზის დასმულად, ბუზისა! მაინც ორას ორმოცდა ცხრა კაცი დარჩა!

**მესამე პროფესორი** (ნაღვლიანად). ადგილი კი მხოლოდ ორმოცდა ათია!

**დირექტორი.** მოითმინეთ, ბატონებო! კიდევ უნდა მოვიგონოთ რამ! ფსიხოლოგია მოვიხმარეთ,—ეხლა გრაფოლოგიას მივმართოთ. ოჰ ბატონებო, გრაფოლოგია, საუცხოვო რამ მეცნიერებაა! იმას გვერდს ვერ აუქცევთ. მე იგი ერთმა სახელმწიფო სამსახურში მყოფმა გამაცნო, რომელიც დიდი მიმდევარია ამ მეცნიერებისა. დიდი მნიშვნელობა აქვს თურმე იმასაც, თუ როგორ არის ციფრი დაწერილი! იმან ამის შესახებ მრავალი საუცხოვო ცნობა გადმომცა! მრავალი! მაგალითებიც კი მიჩვენა: ნაპოლეონ პირველისა და ერთ ჩვენებურ ბანკირის ციფრებისა. ბანკირი, მაგალითად, თავდაპირველად მსხვილს ციფრებსა სწერდა, გარკვევითა და შნოიანად, შემდეგ კი დაიწყო პატარა ციფრების წერა, რომელთაც რაღაც გაურკვევლობა ეტყობოდათ,—თურმე ნუ იტყვით, სწორედ ამ დროიდან დაეწყო ბანკის ფულის ფლანგვა, ესეა გამოცდაზედაც: როცა ჰხედავ, რომ პასუხი ღირსია ხუთიანისა, მაშინ შენც დაბეჯითებით აჭრელებ უშველებელს ხუთიანს მთელს უჯრედში! როცა კი ყოყმანში ხართ და ვერ გადაგიწყვეტიათ, ხუთიანის ღირსია თუ არაო, ინსტიქტიურად პატარა, უხერხულ ხუთიანსა სვამთ. სწორედ ისე, როგორც დაბალ კლასის გიმნაზიელი, რომელმაც ჯერ არ იცის დანამდვილებით, სად უნდა და სად არა, მძიმეს დასმა და მკრთალს, შეუმჩნეველს პატარა მძიმესა ჰსვამს. ჩასთვალეთ მხოლოდ დიდი ხუთიანები... პატარეები არ ითვლება!

**მდივანი**. ას ორმოცდა ცხრა კაცია დიდის ხუთიანით.

**დირექტორი.** აქ მომეცით, მეც გადავათვალიერებ. ღმერთო ჩემო, ეს რა გიქნიათ? განა ასე შეიძლება!? ჰხედავთ, ამ ხუთიანს! თავი უჯრამდის არა სწვდება და თქვენ კი სათვალავში ჩაგიგდიათ! რასაკვირველია ასეთი ხუთიანი ბევრი იქნება!

## სურათები სამეგრელოს ცხოვრებიდან



თხების გაყვანა სოფლის ბოგირზე.



**ზუგდიდი.**—სასეირნო „ბულვარი"



**ზუგდიდი.**—სავაჭრასკვერ (ბაზრობა.)

**მდივანი.** რას ბძანებთ, ამ ხუთიანს ოდნავ-ღა უკლია უჯრამდის. იქნება თვალი გვატყუებს.

**დირექტორი.** ააა, ეგ ოდნაობაც დიდი რამ არის! სჩანს რომ ნიშნის დასმის დროს ყოყმანში ყოფილა პროფესორი და აი ამ ყოყმობის ნიშანი დასტყობია დაწერილს ნიშანს. ამასთან ერთი კაცის გამოკლებაც კარგი ღვთის წყალობაა. დაგვრჩა ას ორმოცდა ცხრა კაცი კი არა, ას ორმოცდა რვა. წაიკითხევით, ვინ დარჩნენ.

**მდივანი.** ჰკითხულობს გვარებს. ივანოვი...

**დირექტორი.** შესდექით! რა საჭიროა, მაგალითად, ივანოვი? ჩვენს უწყებაში უიმისოდაც ბევრი ივანოვია. თუ არა ვსცდები 123 კაცია მაგ გვარისა. ათასი ხომ არ გვეყოლება, ეგ ვერაფერი საქმეა! სხვა არა იყოს რა, საგაზეთონი გავხდებით. იფიქრებენ, ყველანი ნათესავები არიანო. ამოშალეთ ივანოვები და სიდოროვები და კარპოვებიც თან მიატანეთ. ეგენიც ძალიან ბევრნი არიან.

**მდივანი.** პოლიკარპოვებიც არიან. წავშალო თუ არა?

**დირექტორი.** პელიკარპოვ? პოლიკარპოვი ჩვენს უწყებაში, მე მგონი, არც ერთი არ არის, მაგრამ სულ ერთია წაშალეთ. არ არის და ნურც იქნება! რა საჭიროა იმათი შემოსვლა ჩვენს უწყებაში, დასტოვეთ მხოლოდ არა ჩვეულებრივი გვარები.

**მდივანი.** არა ჩვეულებრივი გვარისა ასს ათი კაცია.

**დირექტორი** (დიდი ხნის ფიქრის შემდეგ). ებრაელი ხომ არავინ ურევია? აბა მოსძებნეთ.

**მდივანი.** არც ერთი!

**დირექტორი.** ძალიან სამწუხაროა! ებრაელები ძალიან კარგნი არიან ხოლმე მაშინ, როცა ვისიმე ამოშლაა საჭირო. მახსოვს ერთი საყურადღებო შემთხვევა. ერთს თავისუფალ ადგილზედ 50 კაცმა შეიტანა თხოვნა. აქეთ აილეს, იქით დაილეს და ბევრი თავის მტვრევის შემდეგ 48 კაცი ამოშალეს. დარჩა ორი. არც ერთ მათგანისთვის უპირატესობის მიცემა არ შეიძლებოდა, ორივეს მიღება კი შეუძლებელი იყო, ერთმანეთს ხომ არ დაასხამდნენ თავზედ. ვიყავით ერთ გაჭირვებაში. ბოლოს აღმოჩნდა, რომ ერთი მათგანი ებრაელი იყო! სიხარულისაგან ცას დავეწიეთ და კინაღამ ყველამ „ვაშა" არ წამოვიძახეთ. იმ ებრაელს ყოველთვის მადლობით ვიხსენიებ ხოლმე, იმან გამოგვიყვანა გაჭირვებულს მგომარეობიდან. რამდენი დარჩა მაინც კიდევ?

**მდივანი.** ას ათი კაცი.

**დირექტორი.** მაინც ას ათი! მახინჯი მაინც ხომ არავინ არის, ან ულამაზო?

**1-ლი პროფესორი.** ეგ რაღა საბუთია, თუ ღმერთი გწამთ?

**დირექტორი** (ვედრებით). საბუთი? საბუთის ნასახიც არ არის, მაინც მადლობა ღმერთს! რა გინდა ვქნათ? ჩვენი უწყება ყოველთვის განთქმული იყო წარმოსადგენ, ახოვან ინჟინერებით. როგორც კარგათ მოგეხსენებათ, ბატონებო, ჩვენ სწავლის გარდა მეჯლისებსაცა ვმართავთ! ჩვენს მეჯლისებში პეტერბურგის საუკეთესო ქალები იღებენ ხოლმე მონაწილეობას. არ შეგვიძლიან მახინჯების მიღება. ბატონებო, ეგზამენის დროს მახინჯი ან ულამაზო ხომ არავინ შეგიმჩნევიათ?

**2-რე პროფესორი.** მაგისთვის ყურადღება არ მიგვიქცევია. ყველანი წარმოსადგენი ახალგაზდანი არიან! მხოლოდ ერთს შევაჩნიე ნოლა ცხვირი.

**დირექტორი.** ნოლა ცხვირიანი! შორს ჩვენგან ნოლა ცხვირიანი! დარჩა ასს ცხრა კაცი! ბ-ნო მდივანო, თქვენ კარგი გემოვნების კაცი ხართ, უნდა შეგემჩნიათ. დასტოვეთ მარტო ისინი, ვინც საუკეთესო სილამაზისა და აგებულობისანი არიან!

**მდივანი (შლის).** დარჩა სამოცდა თხუთმეტი. ყველანი ლამაზნი არიან, ერთ შეხედვათა ღირან, ზოგიერთნი მაინც; ორმოცდა თერთმეტი ქერაა, ოცდა ხუთი შავგვრემანი.

**დირექტორი.** შორს ჩვენგან შავგვრემანები. ჩვენთვის შავგვრემანები საჭირონი არ არიან, მარტო ქერები დასტოვეთ! ამას მაინც იტყვიან, „ბრწყინვალე უწყება“ აქვთო.

**მდივანი.** ეგ კარგი, მაგრამ მაინც ორმოცდა თერთმეტი კაცი რჩება. ყველანი ისეთი ლამაზები არიან, რამ ერთმანეთს არ დაუვარდებიან! აი, ეს მაინც მზეთ უნახავსა ჰგავს!

**დირექტორი** (გახარებული). მზეთ უნახავი? შორს ჩვენგან მზეთ უნახავები! რასა ჰგავს ერთი თუ ღმერთი გწამთ? რა საჭიროა ჩვენთვის ლამაზები? ჩვენ უმაღლესი სასწავლებელი გვაქვს და არა ოპერეტტა. ჩვენ არ შეგვიძლიან მივიღოთ კაცი მარტო იმისთვის, რომ ლამაზია, შორს ჩვენგან ლამაზები.

**მდივანი** (ჰხურავს ჟურნალს). 50 ადგილია და 50 კაცია მიღებული.

**დირექტორი** (ოფლს იწმენდავს). უჰ-უჰ! ღმერთო ჩემო... მას შემდეგ რაც პარიზში ვიყავ და ცოლის ნივთებს კუპეში ვალაგებდი, ასე არ დავღლილვარ!

**ზ. ედილი**



— მე ფაქტს უარს არა ვყოფ. ჩემმა კლიენტმა, მართალია, მოჰკლა მამა, დედაც მოჰკლა, მაგრამ, მსაჯულნო, განა შებრალების ღირსი არ არის? შეხედეთ ამის დაღონებულ და შეწუხებულ სახეს. ამ ორი თვის წინად იგი ჰხარობდა თავის ოჯახში დედ-მამასთან, ახლა კი... ოჰ, მსაჯულნო და მოსამართლენო, შეიბრალეთ ობლად დარჩენილი, ეცით ნუგეში და გაამართლეთ...



— რას სწერენ გაზეთებში, როგორ გგონიათ, გვეშველება რამე?..

— სიტყვებს, სიტყვებს, ჩემო მეგობარო, შველით კი ვეჭვობ, რამე გვეშველოს!

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი**

Доз. ценз. Тифлисъ 14 іюня 1905 г.

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხ—სა.